ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1184499

ნომერი: AR1205485

თარიღი : 19.03.2014

გაცემის თარიღი : 24.03.2014

გაცნობის თარიღი : 25.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სანდრო ეულისა და ქავთარაძის ქუჩების კუთხეში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი დარსალია პ/ნ 62007002347
- გაგრა ა.წერეთლის ქ. N 35/3 ბ. 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

„არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს და „ფოტომონტაჟი“–ს ველებში ატვირთულ იქნას კარგი ხარისხის, შედარებით შორი მხრიდან გადაღბული ფოტოსურათი და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების (მათ შორის მიწის ზედაპირიდან აბრის ძირამდე მანძილის) მითითებით. გარდა ამისა, იმის დასადგენად თუ შენობის რომელ ფასადზე ხდება აბრის მოწყობა, საჭიროა „დამატებითი დოკუმენტაციის ველში“ აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო აბრის მონიშვნით.

გაითვალისწინეთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად, ხოლო ზედაპირიდან 2.70 მ-ზე მეტის შემთხვევაში - მხოლოდ 1.40 მ-მდე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge